შ.პ.ს. სპორტმშენსერვისი

09/01/2026

№ 00000493

შპს „ვი არ ვაკე თაუერსი“-ს დირექტორის მინდობილ პირს
ბატონ ალექსანდრე ნამორაძეს

ბატონო ალექსანდრე,

შპს „სპორტმშენსერვისში“ განიხილეს, შპს „ვი არ ვაკე თაუერსი“-ს 2026 წლის 6 იანვრის განცხადება/წერილი (შპს „სპორტმშენსერვისში“ რეგ.N108 08/01/2026), თანდართული სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული სამსახურის გადაწყვეტილებით N77603375 და 2026 წლის 8 იანვრის N08/01 განცხადება (შპს „სპორტმშენსერვისში“ რეგ N260 08/01/2026), კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციით, რომლებიც ეხებოდა შპს „სპორტმშენსერვისის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.72.14.009.696), სამბოს დარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებულ საპროექტო დოკუმენტაციაში განხორციელებული კორექტირებების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებაზე თანხმობის გაცემას.

გაცნობებთ, რომ შპს „სპორტმშენსერვისი“ არ არის წინააღმდეგი გაგრძელდეს სამშენებლო სამუშოები, შპს „ვი არ ვაკე თაუერსი“-ს 2026 წლის 6-8 იანვრის, ზემოაღნიშნული კორესპონდეციით გადმოგზავნილი, პროექტში განხორციელებული ცვლილებების/კორექტირებების ჩამონათვალის შესაბამისად:

1. გაუქმდა ტრანსფორმატორის სივრცე.
2. მოეწყო კედლები და გადახურვა ტექ. სივრცეში ჩასასვლელ კიბეზე (G-I ღერძებში). 0 სართულზე
3. გაიზარდა საერთო მოხმარების საპირფარეშოების ტიხრები A-B ღერძებში (არ შეცვლილა, მასალა, სისქე და ხანძარმედეგობა).
4. შეიცვალა ტრიბუნების კედლის მოწყობა, კერძოდ დახრილად მოიჭრა 700 მმ კიბის პარალელურად, ხოლო 400 მმ მოეწყო მოაჯირი
5. დარბაზში შესასვლელი კარი და ტიხარი გადაიწია ჰოლისკენ B-C ღერძებში (არ შეცვლილა, მასალა, სისქე და ხანძარმედეგობა).
6. შეიცვალა კიბეში ვერტიკალური დგარების ჩამაგრების კვანძი. ძველ ვერსიაში ჩამაგრებული იყო კიბის ზედაპირზე, ახალ ვერსიაში გაუჩნდა მეტალის ფურცელი, რომლებზეც არის დამაგრებული ვერტიკალური დგარები.
7. დარბაზში შეიფუთა თაბაშირ-მუყაოთი სახანძრო კაბინები.
8. ფასადის ფერი შეიცვალა:Palazzo 55

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა
Tbilisi, Georgia, University str. N15a
☎ 0322 72 88 07
sportmshenservice@gmail.com
www.smsorg.ge

9. +4.00 ნიშნულზე კაბინეტის სივრცეში დაემატა შახტა, რომელიც შეფუთულია 1 საათიანი ხანძარმედეგი თაბაშირ-მუყაოს კედლით.
10. გაიზარდა საქვაბე სივრცის გაბარიტები (არ შეცვლილა, მასალა, სისქე და ხანძარმედეგობა).
11. გაიზარდა გენერატორის ზომა.
12. 0 სართულზე შეიცვალა კარები, სლაიდის ტიპის - ანჯამებიანით.
13. დაკორექტირდა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში კალენდარული გეგმა.
14. დაემატა მეორე ჰიდრანტი.

პატივისცემით,

შპს "სპორტმშენსერვისი"
დირექტორი
ტყეშელაშვილი თორნიკე



